



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

5 მარტი 2026



N188614

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „დემეტრე და კომპანია“-სთვის ფულადი ჯარიმის სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს „დემეტრე და კომპანია“-ს მიერ (ს/ნ - 424070864, მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, მე-2 მ/რ, კ-40, ბ-45) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2025 წლის 30 სექტემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)“. სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, ანგარიშგება არ აქვს სრულყოფილად მომზადებული, კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, სუბიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „...სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება. სუბიექტის მიერ ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება...“.

კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნის დარღვევისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა პირს არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან“.

კანონის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას“.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით;
2. სუბიექტს დაევალოს ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება (კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამავე კანონით დადგენილი წესით მომზადებული კონსოლიდირებული ანგარიშგება), ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. სუბიექტს დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში შემდეგ სახაზინო კოდზე - 302003549;
4. ფულადი ჯარიმის ამ ბრძანების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება განხორციელდეს სამსახურის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;
5. ეს ბრძანება, სუბიექტისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64). ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

